ეროვნული ბიბლიოთეკა

№ 29 თებერვალი ,7 ხუთშაბათი 1891 თებერვალი 7, ხუთშაბათი № 29

გაზეთი ღირს

| თუმე | მანა კ. | თუმე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 . . . | 10 — | 6 . . . . | 6 — |
| 11 . . . | 9 50 | 5 . . . . | 5 50 |
| 10 . . . | 8 75 | 4 . . . . | 4 75 |
| 9 . . . | 8 — | 3 . . . . | 3 50 |
| 8 . . . | 7 25 | 2 . . . . | 2 75 |
| 7 . . . | 6 50 | 1 . . . . | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

# ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათ დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას კუკიაში, ავჭალის ქუჩა, თ. გარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკის სახლებში. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელიარიას სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1891 სპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1891

გაზეთი „ივერია“ პირველ თებერვლიდგან წლის დამლევამდე ღირს 9 მ. 50 კ.

---

ქვრივი ანნა იოსების ასული ბაქრაძისა აუწყებს ნათესავთა და ნაცნობთ, რომ კვირას, 10 თებერვალს, დიმიტრი ზაქარიას ძის

**ბაქრაძის** გარდაცვალების წლის თავზე გარდახდილ იქმნება წირვა და პანაშვიდი მიცვალებულის მოსახსენებლად დიდუბის ეკკლესიაში, დილის 10 საათზე.

(3—1)

---

ვაუწყებთ ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურობას, რომ მომავალ მაისის თთვის ოცს შესდგება ჩვეულებრივი კრება ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა.

ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურობის წინამძღოლი გენერალ-ლეიტენანტი თ. ივანე კონსტანტინეს ძე ბაგრატიონ-მუხრანსკი.

(3—3)

---

ბ-ნნი წევრნი საიმპერატორო კავკასიის სამეურნეო საზოგადოებისა მიწვეულნი არიან ამ საზოგადოების მორიგს კრებაზედ, რომელიც იქნება ხუთშაბათს, 7 თებერვალს, საღამოს $7^1/_2$ საათზედ.

განსახილველი საგნები:

1) მიმოვლინარე საქმეები;

2) მოხსენება ვ. ა. სტაროსელსკისა: „ფილოქსერა ქუთაისის გუბერნიაში და ღონისძიებანი მასთან ბრძოლისა“.

ამ კრებაზედ დასწრების ნება არაწევრთაცა აქვთ.

## ახალი ამბავი

*** „წერა-კითხვის საზოგადოება“ აპირობს შეუდგეს ამ დღეებში „დედა-ენის“ ახალად დაბეჭდვას. ეს წიგნი შარშან იანვარს დაჰბეჭდა საზოგადოებამ 12 ათასი ცალი, მაგრამ სულ გაიყიდა და დღეს თითქმის აღარსად არის გასაყიდი. ამ ხანად „საზოგადოებას“ უნდა უფრო ბლომად დაჰბეჭდოს, სახელდობრ 18 ათასი ცალი.

*** იგივე „საზოგადოება“ შეუდგება ამ მოკლე ხანში ილია ჭავჭავაძის თხზულებათა სრულის კრებულის ბეჭდვას რამდენსამე ტომად. პირველი ტომი დაიბეჭდება აღდგომამდე და შიგ მოთავსებული იქმნება წვრილი ლექსები და პოემები. პირველს მოჰყვება შემდეგი ტომები და, როგორც ნაანგარიშებია ვარაუდით, ამ ტომების რიცხვი ათამდე იქმნება.

*** როგორც ნამდვილად შევიტყეთ, მთავრობა ჰკრებს ცნობებს იმ ტფილისის გუბერნიაში მცხოვრებ თავად-აზნაურთა შესახებ, რომელნიც ოდესმე რომელისამე საქმის გამო ან გამოძიებასა და ან სამართალში ყოფილა მიცემული და ან ეხლა არიან. მიზეზი ასეთის ცნობების შეკრებისა ის არის, რომ, რადგანაც ახლო მომავალში დანიშნულია თავად-აზნაურთა კრება, ასეთს წევრებს უფლება ჩამოერთვათ კრებაზედ სხვა-და-სხვა საქმის განხილვისა და არჩევანებში მონაწილეობისა.

*** სამშაბათს, 5 თებერვალს, ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკის თეატრში გამართული იყო კონცერტი ბარიტონის ბეგლარ ამირჯანიანისა. კონცერტს საკმაო ხალხი დაესწრო, თუმცა მოლოდინი იყო, რომ უფრო მეტი დაესწრებოდა. ამირჯანიანი ახალგაზდა მომღერალია და იმდენად წმინდა ძლიერი ბარიტონიცა აქვს, რომ, კარგად რომ ჰქონდეს შემუშავებული ეს ხმა, ერთ საუკეთესო, თვალ-საჩინო არტისტთაგანი დადგება. საზოგადოება დიდის ტაშის კვრით დაუხვდა მეკონცერტეს და პროგრამის გარეშე რამდენიმე ახალი სიმღერაც ათქმევინა. იმას გარდა მონაწილეობას სხვანიც იღებდნენ. მათ შორის მოსახსენებელია მევიოლონჩელისტე სარაჯოვი და მირალიანი, რომელმაც საკმაოდ ასიამოვნა საზოგადოება თავის კუპლეტების მღერით.

*** გუშინ-წინ დილით, 5 თებერვალს, რკინის გზის სადგურზე ხელდა-ხელ ამოაცალეს ჯიბიდგან ფული თ. ხერხეულიძის კაცს. ეჭვი ფულის დამკარგავმა ერთ თათრის ბიჭზედ მიიტანა. მაშინვე გაუსინჯეს ამ ბიჭს ჯიბეები სადგურის ჟანდარმებმა, მაგრამ ვერა უპოვეს-რა.

*** ჯიბგირებზე ნაკლებს ავ-კაცობას არ სჩადიან სხვა გვარი ოინბაზებიც. ერთი ამათგანი მისულა სირაჯთან, მოჰრიგებია ექვსის თუმნისა და რვა მანათის ღვინოს, ჩემს ბატონს ქორწილი აქვს ამ დღეებშიო, და წამოსულა. მერე ისევ ჩაბრუნებულა, მომეცი ბარემ 14 მანათი და ბიჭიც გამატანე, ათს თუმნიანს გამოგიგზავნიო. მიიღო თურმე ფული და წაიყვანა ბიჭიც. ბიჭი გზაში მისთესა სადღაც და თავად 14 მანათი ჯიბეს იკრა.

*** ჩვენ მივიღეთ სოფელ ველისციხის ბლაღოჩინის მღვდელ იოსებ ხარიტონოვისაგან 18 მან. განსვენებულ დ. ბაქრაძის ფონდის სასარგებლოდ. ამ ფონდისა იყო დღემდე 1415 მ. 92 კ. ამიანად შესდგა 1433 მ. 92 კ.

*** ხარკოვი: შარშან შემოდგომაზე აქაურს უნივერსიტეტში სამმა ქართველმა გაათავა კურსი: გ. ნადირაძემ—სამკურნალო ფაკულტეტზე, ტ. ორახელაშვილმა — იურიდიულზე და ი. ჭიშვილმა—ისტორია-ფილოლოგიურზე. ამ ჟამად არიან აქ 12 სამკურნალო ფაკულტეტზე, 2—იურიდიულზე და 1—ისტორია-ფილოლოგიურზე. ამათ გარდა, ორი ქართველი ფარმაცევტი სწავლობს.

*** მეგვი: ჩვენს სოფელში ერთი სამწუხარო ამბავი მოხდა. ჩვენის სოფლიდგან წავიდა კახეთისკენ ორის კვირით სავაჭროდ ჩოდარი, ამ სოფლისავე მცხოვრებელი ორმოც-და-ათის წლის ცოლ-შვილიანი კაცი, ივანე გრიგოლის ძე სუხიაშვილი. წავიდა, მაგრამ მას შემდეგ იმისი ამბავი აღარა ვიცით რა, არავინ იცის, ცამ ჩაყლაპა თუ დედამიწამ აგერ ხუთი თთვეა. ამ, თითქმის ნახევარ წელიწადში იმისაგან უბრალო ბარათიც აღარ მოსულა. ჰზის საბრალო ცოლ-შვილი გულ-ხელ დაკრეფილი და გზას გასცქერის. ეძებს ბევრი, მაგრამ ჯერჯერობით ვერც ცოცხალს მიაგნეს და ვერც მკვდარს.

*** დ. ცხინვალი: ამ ცოტა ხნის წინად სოფ. ქვემო-ნიქოზში მღვდელს დ. კაპანაძეს შუაღამისას მოჰპარეს ხუთი სული საქონელი და სულ ერთიანად ცარიელ-ტარიელი დასტოვეს. კვალს მიაგნო კიდეც დაზარალებულმა და ერთი ქურდთაგანი დაიჭირა, ის ქურდთაგანი, რომელსაც დაკლულ საქონელზედ მიასწრო, მაგრამ ეს ქურდი დანაშაულს უარსა ჰყოფს და არც სხვა ამხანაგებს ამხელს. ამ თთვის 2—3, საღამოს 9 საათზედ, ჩვენ დაბაში საზარელი კაცის კვლა მოხდა. ერთმა კალატოზმა, რომელსაც ერთის გარდაცვალებულის ნათესავისაგან დარჩა ორას-სამასის თუმნის ქონება, ამ ნათესავის წირვაზედ, როდესაც განსვენებულის შესანდობარს სვამდნენ, მოჰკლა დამბაჩით თავისი მეორე ნათესავი, ქურთელი გლეხკაცი. მიზეზი ამ ბოროტ-მოქმედებისა ის იყო, რომ ამ ცოცხალმა ნათესავმა სთხოვა, გარდაცვალებულ ნათესავის დანატოვარისა ცოტაოდენი მეც მიწყალობეო. მკვლელი დაპატიმრებულია.

*** გაზ. „Т. Л.“-ის სიტყვით, ტფილისის ცხენის რკინის გზის ახალს კონტროლიორს ახალი საშუალება უპოვნია ამ გზის შემოსავლის გასაძლიერებლად. განკარგულება მოუხდენია, რომ იმ კონდუქტორებს, რომელნიც რომელსამე დღეს არა ჰმუშაობენ, ვაგონში ნულარ ჩასხავთ მუქთად ნაშუადღევის ოთხ საათს შემდეგაო. ძნელად თუ ცხენის რკინის გზის მმართველობამ ამ ახირებულისა და უცნაურის განკარგულებით მოიგოს რამე, იგი მხოლოდ ხელ-ფეხს შეუკრავს ღარიბს კონდუქტორებს, რომ თავისს საქმეებზედ მიიდ-მოვიდნენ. პირ-იქით, ასეთის არასაკადრის სიხარბის მაგიერ, მმართველობა უსახელო საზოგადოებისა იმას უნდა სცდილობდეს, რომ გაუადვილოს თავის მომუშავეებს ცხოვრება.

*** სიღნაღიდგან სწერენ „Нов. Обоз.“-ს: აქაურმა თავად-აზნაურობამ განიზრახა დაარსოს „ცხენოსნობის“ საზოგადოება, რომლის წესდების შემუშავებას უკვე შეუდგნენ და ამ დღეებში წარუდგენენ მთავრობას დასამტკიცებლად. წარსულს შემოდ-

---

# ფელეტონი

## ფშაველი და ფშავლები

(ეთნოგრაფიული მიმოხილვა)

ცოლ-ქმრობა და კაც-დედაკაცის ურთიერთობა ოჯახში.

(შემდეგი*)

ცოლ-ქმრობის თავდაპირველი დანიშნულება ფშავლისთვის „ნაშენობა“ და გვარის გამრავლებაა. ამისთვის ფშაველი ყოველს ღონისძიებასა ჰხმარობს, რომ არც ერთი წესი ქორწილისა აუსრულებელი არ დასტოვოს და ამით ახლად შეუღლებულებს „იღბალი არ გაუბრუნოს“ და „უბედურები“ (უშვილოები) არ დარჩნენ. ამ ნაირ წესთაგანია სხვათა შორის ისიც, რომ მეფესა და პატარძალს, როცა ნეფიონნი კერას გარს შემოუვლიან და თავის ადგილას დასხდებიან, ეჯიბი კალთაში სამ-სამჯერ ჩაუსვამს ბავშვს მამათა სქესისას და თან დალოცავს: „ღმერთმა გაგაბედნიეროთ, აღირსოს თქვენს კალთას ვაჟიშვილიო“. რას ჰნიშნავს და რის შედეგია კერას გარს შემოვლა, საკიდელის ჩამოჭრა, თოფის სროლა და ან შეიარაღება მაყრებისა და ეჯიბ მეჯვარესი, ხალხს ამაზედ არავითარი თქმულება არა აქვს. იარაღში, როგორც მოხსენებულია, მარტო ხმალსა აქვს განსაკუთრებული დანიშნულება, ე. ი. ეშმაკის აშორება. სხვაფრივ შეიარაღება, თოფის სროლა და საკიდელის ჩამოჭრა იქნება ნაშთი იყოს ძველის დროის ჩვეულებისა, როცა ფშავლებში ცოლ-ქმრობა ქალის ძალად მოტაცებაზე იყო დაფუძნებული და ჯერ კიდევ არ იცოდნენ ქალის ნებაყოფლობით გათხოვება. ძალად მოტაცება ეხლაც ხალხისაგან უარ-ყოფილი არ არის, და ეს გარემოება ხომ პირდაპირ საბუთს გვაძლევს ვიფიქროთ, რომ თვით ის ჩვეულება, როცა ფშავლებში ცოლის შერთვა ქალის ძალით მოტაცებაზედ იყო სრულიად დაფუძნებული, ჩვენის დროიდგან ძალიან შორს არ უნდა იყოს.

ამასვე ამტკიცებს, ჩემის ფიქრით, ის გარემოებაც, რომ ქალის მაყრები ქორწილის დროს ნეფის ოჯახის, ან იმის ახლო ნათესავის ქალს, 6—8 წლისას, ქორწილში მყოფს, მოიტაცებენ „სადილედ“, ანუ, უკეთ ვსთქვათ, აასრულებენ მოტაცების წესს ვითომ და პატარძლის სამაგიეროდ. სადილე მაყრებს სახლიდგან რამდენსამე საჟენის მანძილზედ მიჰყავთ ძალად თავიანთის სოფლის მხრისკენ, მასპინძელი უკან გამოუდგება და წაართმევს მოტაცებულს ქალს, რომელსაც მაყრები მაშინვე აჩუქებენ 2—3 აბაზს. ამ მოტაცებას უფრო ხუმრობის ხასიათი აქვს, თუმცა ისიც ქორწილის წესს შეადგენს.

კალთაში ჩასმულს ბავშვსა და ნეფის დედას თითო წყვილი წინდა მიეცემა პატარძლის „ბარგიდგან“. საბავშვო წინდები მდადს თან უნდა ჰქონდეს და როცა ეჯიბი ბალღის კალთაში ჩასმას მორჩება, წინდები მაშინვე უნდა გადასცეს ეჯიბს ბავშვისათვის. ამას შემდეგ მასპინძელი ნეფიონსა და სხვა სტუმრებს მიართმევს ხონჩებით ვახშამს, მიიტანს ნეფიონთან ღვინით სავსე ტიკსა და ხელადებს, ჩამოასხმევინებს ამ შემთხვევისთვის ამორჩეულს „მეღვინეს“ ყანწებში ღვინოსა, ამათში უფრო დიდს ყანწს მისცემენ ხევის-ბერს, რომელიც დადგება ნეფიონის ზემო მხარეზედ; დანარჩენს, უფრო მომცრო ყანწებს დაურიგებენ—ეჯიბს, მეჯვარესა და ქალის ძმას. ყველანი ფეხზედ ადგებიან, გარდა დედოფალისა და მდადისა, ქუდებს მოიხდიან, და ხევის-ბერი დაამწყალობებს „ახალ ყოვილთა“ შემდეგის სიტყვებით: „ღმერთო დიდებულო, ყველა შენი გაჩენილ-გარიგებულია, თორომ ჩვენ ხმელზეით ხორციელნი ვერას შემოგკადრებთ. ღმერთო, შენის დაწესებით გვლაღადებით ხორციელნი, მადლიანო კვირა-ცხოველო, დიდო ქრისტიანთ სალოცავო წმინდა გიორგი (შემდეგ ჩამოსთვლის ფშავლის სალოცავების სახელებს), თქვენ გევედრებიანთ (სახელები ნეფედედოფლის მამებისა; თუ მამა არა ჰყავთ, უფროსის ძმისა, და თუ არც ძმა ჰყავთ, სახლის უფროსისა) იქით (სახელი ქალის მამისა) გამოუსტუმრებავ ქალი, აქ (სახელი ნეფეს მამისა) აქორწილებს შვილსა, თქვენა ხართ იმათ მფარველნი, თქვენ გევედრებიანთ და გავედრებენ თავის ახალ ყოვილთა. მაუხდინენით ეტლიან-ბედიან-დავლათიანნი, ერთმანერთს შეაბერენით. ერთს სასთაულზედ დაუბერნიათ, ღმერთო, შენ მიანიჭე წულმრავლობა, ღალიან-ბარაქიანობა. ქალის პატრონი ხვალ ვაჟას ქორწილს დაასწარ, ვაჟის პატრონს მუდამ ვაჟის ქორწილს ნუ მოუშლი, აჰხადე მტრის ხელი, მააშორე სიკვდილის ხმა, მიეც შამოღგომა ღალიან-ბარაქიანი, ზამთარი წულიან-პურიანი, ზაფხული მშვიდობა-სიხარულისა. ღმერთო, გაუმარჯვე, წყალობა მიეც სტუმარს, მასპინძელსა, ყველა აქა ბრძანებულსა, ღმერთო, რაც მე ჩემის

---

*) იხ. „ივერია“, №№ 22, 24 და 25.

გომას აქ პირველად გაემართეთ დოლი. ამ დოლის ამბავი ვაუწყეთ, ვისაც ჯერ არს, და მოგვივიდა პასუხი, ისე მოახერხეთ, რომ თქვენი დოლი ტფილისისაზედ ადრე გაიმართოს ხოლმე, რათა მანდ გამარჯვებულმა ცხენებმა ტფილისის მარულაზედაც მიიღონ მონაწილეობაო. ახალ საზოგადოებას საგნად აქვს გააუკეთესოს ჯიში აქაურის ცხენებისა. რაღა თქმა უნდა, არც მთავრობა დაუჭერს თავისს დახმარებას. ჯერ-ჯერობით სამი კერძო ჯილდო იყო დანიშნული, რომელიც მარშან მიიღეს დოლში გამარჯვებულთ. ამ საზოგადოებას აქაური საზოგადოება დიდის თანაგრძნობით ეკიდება.

## დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბავი)

ქართლი, 28 იანვარი. სოფელი ძნელი საცხოვრებელი ადგილია: დიდს შრომასა და გარჯას თხოულობს და მარტო ის არის სოფლად განცხრომაში, ვისაც ფულიცა აქვს და მამულიც, თუმცა ამ ფულიან-მამულიან კაცსაც-კი ხშირად უჭირს საქმე სოფლის მოუწყობლობის გამო. უჭირს იმიტომ, რომ სოფლელს, რაც უნდა შეძლებული იყოს, მაინც ბევრი რამ აკლია და ეს ნაკლებულება სულსა და გულს უხუთავს, გრძნობა-გონებას უხშობს. თუ ასეა შეძლებულის საქმე, შეუძლებელმა, ხელ-მოკლემა და ღარიბ-ღატაკმა რაღა მოგახსენოთ. მისთვის ხომ სოფლის ცხოვრება ერთი განუწყვეტელი ჯაფაა, ოფლის-ღვრაა, განუხარებელი, მუდამ სიბნელით მოსილი ცხოვრებაა, ისეთი ცხოვრება, რომელსაც იშვიათად გაანათებს სხივი მზისა. ასეთს გაჭირვებასა და ვაი-ვაგლახშია უმეტესი ნაწილი გლეხ-კაცობისა, რომელსაც ერთი და ორი არ აზის კისრად სარჩენად და მერე ეს ერთი და ორი ისეთს რჩენასაც როდი ითხოვს, როგორც თავის თავს არჩენს გლეხ-კაცი, არამედ ბევრად უკეთესს, ბევრად განათლებულს და განებივრებულს.

ჯანაბას კიდევ, თუ ისეთი სარჩენები სოფელს ანუ გლეხ-კაცობას კანონიერს გადა სახადს სთხოვენ: ვალში ზომიერ სარგებელს იღებენ, ჩანახი კანონიერია, ღალა-კულუხი უდიერად არ მატულობს ყოველ-წლივ, სახელმწიფო ხარჯს მამასახლისი არა ჰყლაპავს სანახევროდ მაინც, ბეგარა სამართლიანობით არის განაწილებული და სხვ. საუბედუროდ, ყოველივე ესე ჯერ ისევ სანატრელია სოფლისთვის და, ვინ იცის, კიდევ რამდენს ხანს იქმნება სანატრელი ხელ-მოკლე გლეხ-კაცობისათვის. ხელ-მოკლე გლეხ-კაცობისათვისაო, ვამბობთ, იმიტომ, რომ ხელ-ღონიერს, ქონ-მოკიდებულს ასე თუ ისე შიში არ მოელის, მის დაჩაგვრას ადვილად ვერავინ ჰბედავს და ყველგან მხოლოდ ქონებით უძლური, სარჩო-საბადებლით ნაკლები კაცი იჭყლიტება. ავიღოთ თუნდა, მაგალითად, ღალა-კულუხისა და ტყის საქმე. თუ ტყე-მამულის პატრონმა სინიდისსა და ადამიანობაზე ხელი აიღო, სულს ამოართმევს გლეხ-კაცს: დღეს რომ კოდს ართმევდა, ხვალ ორ-სამ კოდს გამოართმევს ღალას, თუ მეტადრე სივიწროვეა მამულისა. ბევრგან ხომ ჩვენში ხუთსა და ათს კოდსაც იღებენ. კულუხის საქმეც ასეა, ტყისაცა და საძოვარ-საბალახისაცა, რომელშიაც ათას გვარი ბეგარა-სამსახურია შემოღებული ტყე-მამულის პატრონთა სასარგებლოდ. ფულის პატრონთა ონავრობას ხომ სოფლად აღარც საზღვარი აქვს და აღარც მიჯნა. რა ხერხი, რა ოინი და რა მახე არ არის მოგონილი, რომ ვალის შემწეობით უსინიდისო კაცმა თოკი მოაბას ყელზე გაჭირვებულს და თავის ყურ-მოჭრილ ყმად დაისახლოს. მანათზე მანათისა, მანათ-ნახევრის აღება სარგებელში იშვიათი არ არის. „ნევსტოიკები“ და ამისთანა ჯაჭრუჯანაბა ხომ იმდენ ნაირია, რომ ადვილად შესაძლოა ადამიანმა ადამიანის სისხლი დალიოს, ადამიანმა ადამიანი მოჰკლას, დაარჩოს, გლახაკად და მათხოვრად გადააქციოს. სახელმწიფო ხარჯის მოკრებაც დიდ სავაგლახო საქმედ აქვს გადაქცეული გლეხკაცობას. თვით ხარჯი მცირეა, სუბუქად და ადვილად გადასახდელი, მეტადრე იქ, სადაც ლიტრა-ჩარექობაზე იკრიფება და სადაც სოფელს ჰყავს ორიოდე სინიდისიერი, დროული კაცი, რომელნიც ანაწილებენ ხარჯს შეძლებისდაგვარად, იღებენ ფულს და აბარებენ სადაც ჯერ არს მამასახლისის თანა-დასწრებით. მაგრამ განა ყველგან ასეა? ზოგან სახელმწიფო ხარჯს ჰკრეფენ ერთ ნაირად, შეძლების განურჩევლად და, ბევრი გაქვს თუ ცოტა, შენც იმდენი უნდა მისცე, რამდენიც მე, რომელსაც აღელებული ოჯახი მაქვს გამართული. გლეხ-კაცის საბედნიეროდ, ასეთი ადგილები ქართლში ბევრი არ არის და, თუ არა ვცდებით, იშვიათი შემთხვევაა. სამაგიეროდ, საუბედურო ის არის, რომ იშვიათად მოიკრიფება ხარჯი წესიერად, მადლიანობით. თუ მოიკრიფა კიდევ რიგიანად, ქერივ-ობოლის აუტირებლად, მერე საქმეს მაინც კიდევ სხვა საფრთხე მოელის. მოკრეფილს ფულს მამასახლისი და სოფლის არჩეული კაცები იდებენ ჯიბეში ან სანახევროდა, ან სამეათმედოდა და სამეოთხედოდ მაინც. ასე ჯიბეში ჩადებული ფული, ჯერ წვითა და დაგვით მონაგები და მერე დიდის გაჭირვებით გაღებული, რასაკვირველია, „ნედოიმკად“ ედება სოფელს და აი ამ ნედოიმკის გამო ჩნდება ერთი ვაი-ვაგლახი, ზეკუციიდამ დაწყებული ათას სხვა უსიამოვნებამდე. ყოველივე ესე ერთად და თითოეული ცალკე ჰშხამავს და სწამლავს სოფლის მარგებელს ჰაერს, ასუსტებს ზნეობას, რყვნის ადამიანის ბუნებას და უფრო აძლიერებს ყოველგვარ პირუტყულ გლეჯიაბოსა და მძარცველობის მადას, ერთმანერთის ჩაყლაპვისა და ამოჭამის სურვილს. აღარც ღვთის შიში, აღარც სათნოება და კაცთ-მოყვარება, აღარც მეზობლობა, აღარც კეთილი უფროსუნცროსობა და დიდ-პატარაობა. მიდის ამ სახით უკან-უკან ქვეყანა არა მარტო ქონებით, არამედ ჯანითაც. ხალხის გამრავლება შემდგარია, ქორწინება იშვიათი, სიკვდილი ხშირი, მეტადრე ბავშვებისა. პატრონი კი არავინ არ არის...

სოფლელი

## ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდამ)

მგონი არა ერთხელ დაფიქრებულა ყველა ჩვენი მკითხველთაგანი, რომ ეს სახელმწიფონი ასე გაფაციცებით რომ ისხავენ თოფ-იარაღს, დღე ყოველ სცვლიან, ერთს იწუნებენ და მეორეს იწონებენ სულ სხვა-და-სხვა ყაიდის ადამიანის სულის გამაფრთხობ საშუალებას, რა უჯდებათ ეს „შეიარაღებული მშვიდობიანობა“ ევროპის სახელმწიფოებსაო. დიდ-ძალი ფული უჯდება ევროპას ეს მოღერებული, მაგრამ ჯერ არ დაკრული მუშტი. ასეთი მშვიდობიანობა, რომელსაც ჯერ-ჯერობით ბოლო და დასასრული არ უჩანს, ომზედ, ბრძოლაზედ, სისხლის ღვრაზედ გადამეტი და უარესია. ზემოდ მოყვანილ საკითხის პასუხი დაბეჭდილია გაზ. „Правда“-ში, რომელიც ს.-პეტერბურგში იბეჭდება ბ-ნ პოდდიკაილოვის რედაქტორობით, მე-4 №-ში. გაზეთს წვლილადა აქვს აღნუსხული, რომელს დიდს სახელმწიფოს რა დაუხარჯავს მარმან, 1890 წ. და ამ 1891 წლისათვისაც რამდენი აქვს გადადებული შესაიარაღებლად. მოგვყავს ეს ფრიად საინტერესო ცნობები:

გერმანიას 1890 წ. ჯარის შენახვასა, ახალის იარაღის შექნასა, ციხეების აშენებასა და სხვა სამხედრო საქმეზედ ჩვეულებრივი ხარჯი ჰქონდა 118.549.370 მან. ოქროთი, არა-ჩვეულებრივი, საგანგებო—96.635,213 მ., სულ 215.184,583 მან., ხარჯთ-აღრიცხვით 1891 წლისათვის გადადებულია ჩვეულებრივი ხარჯი 142.141,418 მან. და არა-ჩვეულებრივი—7.754,274 მან., სულ-კი 149.895,692 მან.

მეორე ამხანაგს სამთა მოკავშირე სახელმწიფოთას და „მშვიდობიანობის ლიგის“ წევრს ავსტრია-უნგრიას ასეთი ხარჯი 1890 წ. ჰქონდა ჩვეულებრივი—73.928,726 მან. და არა-ჩვეულებრივი — 16.328,524 მან., სულ-კი 90.257,250 მან. ხარჯთ-აღრიცხვით ამ 1891 წლისათვის გადადებული აქვს ჩვეულებრივი ხარჯი 74.380,460 მან. და არა-ჩვეულებრივი—9.960,824 მან., სულ-კი 84.340,284 მან.

მესამე მოკავშირე სახელმწიფოსა და „მშვიდობიანობის ლიგის“ წევრს იტალიას 1890 წ. ჩვეულებრივი ხარჯი ჰქონდა 63.575,243 მან., არა-ჩვეულებრივი—7.835,489 მან., სულ-კი 71.410,732 მან. ხარჯ-აღრიცხვით ამ 1891 წლისათვის გადადებული აქვს ჩვეულებრივი ხარჯი 59.423,276 მან., არა-ჩვეულებრივი—9.327,231 მან., სულ-კი 68 750,507 მან.

ერთად სამივე მოკავშირე სახელმწიფომ—გერმანიამ, ავსტრია-უნგრიამ და იტალიამ 1890 წ. დახარჯეს 376.852,565 მან., ხოლო ამ 1891 წლისთვის განზრახვა აქვთ დახარჯონ 302.986,483 მან.

საფრანგეთს 1890 წ. ჩვეულებრივი ხარჯი ჰქონდა 139.250,000 მ. და არა-ჩვეულებრივი—38.560,275 მან., სულ-კი 177.810,275 მან. ხარჯთ-აღრიცხვით ამ 1891 წლისათვის გადადებული აქვს ჩვეულებრივ ხარჯის ფულად 142.500,000 მ., არა-ჩვეულებრივ ხარჯისად—26.500,000 მან., სულ-კი 169.000.000 მან.

დასასრულ, რუსეთს 1890 წ. ჩვეულებრივი სამხედრო ხარჯი ჰქონდა 190.275,632 მან. და არა-ჩვეულებრივი—31.765,682 მან., სულ-კი 222.041,314 მან. ხარჯთ-აღრიცხვით გადადებული აქვს 1891 წ. ჩვეულებრივი ხარჯი 175.835,523 მან. და არა-ჩვეულებრივი—19.236,448 მან., სულ-კი 196.070,971 მან.

ერთის სიტყვით, მოკლედ რომ მოვჭრათ, ხუთსავე დიდს სახელმწიფოს ვითომ-და მშვიდობიანობის დასაცველად 1890 წ. დაუხარჯავს 776 704,154 მან., ამ წელიწადს უნდა დახარჯოს, თუ მეტი არ მოუყვა, 668.057,454 მან. ორ წელიწადში მშვიდობიანობის დასაცველად ხუთი სახელმწიფო ჰხარჯავს 1.444.761,608 მან. ეს ციფრები თავისდა თავად ისე მჭევრად მეტყველებს, რომ არავითარი ახსნა და განმარტება აღარა საჭიროა. მშვიდობიანობა ისე ძვირადა ჯდება, რომ დიდხანს ვერ გასტანს ასე საქმე. ჩქარა დადგება, გაზ. „Правда“-სი არ იყოს, ისეთი დრო, როცა თვით მთავრობანი და ერნი იძულებულნი იქმნებიან, ამ საშინელ მდგომარეობიდგან თავის დასაღწევად, ძალა-უნებურად მიჰმართონ ერთმანეთის იარაღის ბჯერას... ბრძოლის ველზედ. ეს არის ერთად-ერთი ღონის-ძიება, ერთად-ერთი წამალი და მალამო ასე გამწვავებულ სატკივრისა...

## რუსეთი

ვარშავაში ამას წინად ვიღაც ანდრია იანცევიჩს საშინელი დანაშაულობა ჩაუდენია. იანცევიჩი თურმე ქუჩაზე არამყოფად ითვლებოდა და იმისი ნათესავები დიდი ხანია სცდილობდნენ, რომ რომელსამე საგიჟე სახლში მიებარებინათ, მაგრამ ეს სურვილი მანამ არ შეუსრულდათ, სანამ იანცევიჩმა საზიზღარის დანაშაულო-

---

უმეცრებით დაგაკლო, შენ შენს წყალობას ნუ დააკლებ, ეჯიბო, შენს მეფეს გაუმარჯოს... „შემდეგ ეჯიბი და სხვები ერთ-ხმად გაიმეორებენ: „გაუმარჯოს!“

ხევის-ბერის ნათქვამს ლოცვას ეჯიბი, მეჯვარე და ქალის ძმა მოკლედ გაიმეორებენ. ამ დროს ისინიც ერთმანეთს გაეჯიბრებიან, ვინც მათგანი ლოცვას „მოჭრით“ (მოკლედ) და მკაფიოდ იტყვის, გამარჯვებულადაც ის ჩაითვლება. ამისთვის მათის ამორჩევის დროს ამომრჩევს ნეფეს და იმის ოჯახს სახეში უნდა ჰქონდეს, აქვს თუ არა ხეირიანად დალოცვის უნარი ამოსარჩევსაო. შემდეგ შეუდგებიან საერთო ვახშამს, რომელსაც მოჰყვება სიმღერა და ცეკვა ფანდურსა, სტვირსა, ან სალამურზედ. საკუთრივ „მოთამაშეების“ რიგის მიმცემი, მასპინძელი „ნეფის დაა“, ქალი, რომელსაც ირჩევენ ნეფის შორი-ახლო ნათესავებში. ქორწილის „ღრეობა“ შუაღამეზედ დიდხანს გასტანს. შემდეგ ახლოელები თავიანთ სახლში მიდიან და შორეულები მასპინძელისას რჩებიან.

შემდეგი დრო პირველის ღამისა და დილისაც „ქალის მაყრების დროა“. ისინი მოედებიან სოფელს და სადაც-კი ქათამს შეაგულებენ, მოიპარავენ და ქორწილში მიიყვანენ. ეს ჩვეულება მამა-პაპურია და ამისთვის ამ მოქმედებაზე მაყარს არავინ დასძრახავს, პირ-იქით, თუ მაყარი ემტყუნება ამ ჩვეულებას, „ქალაჩუნას“ დაუძახებენ. ქორწილი ორ დღემდე გასტანს. პირველ დღეს ნეფე-დედოფალს ნათესავები და მეზობლები ძღვენით დაასაჩუქრებენ და ამის გამო მას ეწოდება „ზღვნობა დღე“. „ზღვნად“ მიართმევენ ხონჩაზედ დალაგებულს ხილს, წინდებს, ტანისამოსს, ძაფსა და სხვა წვრილმანს, აგრეთვე ფულად, „პირი-სანახავად“ რამდენსამე აბაზს, ან ერთს მანეთს. ზოგი ძღვენის ხონჩაზედ გააკეთებს ხეს („მაშხალა“), რომელსაც რამდენსამე რიგზედ ჩხირები აქვს დარჭობილი, ჩხირებზედ გაკეთებული აქვს სანთლები, ფერადი ძაფი, ვაშლი და ფული. „ხონჩას“ მიართმევენ მარტო დედაკაცები, მამაკაცები-კი ფულად აძლევენ. პირველ დღეს მირთმეული ფული და ძღვენი პატარძლის საკუთრებაა, „სათავნო“, იმას ვერც ქმარი შეეცილება და ვერც ოჯახი. საზოგადოდ ქორწილში მიცემული საჩუქარი ორად განიყოფება: პირველ დღეს მირთმეული პატარძლისაა, მეორე დღეს მირთმეული—ნეფისი, „სანაწერო“, რომელიც შეადგენს ოჯახის საკუთრებას. „სანაწერო“ ცოტაა და დედოფლის საჩუქარი ბევრად აღემატება, რადგანაც იმას ყველა ქორწილში მყოფი აძლევს საჩუქარს, ხოლო ნეფეს-კი არა.

ძღვენისა და პირის-სანახავის მირთმევის დროსაც ხალხი „მყეფარს“ ირჩევს. ყველა მიმრთმევი ძღვენს, ან პირის-სანახავს რიგ-რიგით გადასცემს მყეფარს, რომელიც შესაფერს სიტყვას ამბობს მიმრთმევის შესახებ და სიტყვის დასრულებისას საჩუქარს მეჯვარე და ეჯიბი გამოართმევენ. მყეფარის სიტყვა მეტად კვიმატია, სახუმარო და ხშირად სიცილსაც გამოიწვევს და გააცინებს არამც თუ იქ დამსწრე გარეშე სტუმრებს, დედოფალსაც-კი, რომელიც ქორწილის დროს არც უნდა იცინოდეს და ლაპარაკითაც ნაკლებ უნდა ლაპარაკობდეს. მომყავს აქ მყეფრის ზოგიერთი სიტყვები, შემთხვევით გაგონილი იერის-ხეობაზედ.

გასათხოვარ ქალის მაგიერ: „ჩემი თავი გაახლათ №№-ის ქალმა. მოგართოთ (აქ დაასახელებს საჩუქარსა) და მოგახსენათ: ნუ დამძრახავთ და ნურც დამემდურებით სიცოტავეზედაო, ხომ იცი ბატარძალო (პატარძალო), გასათხოვარი ქალის ყოფნა, ჩიტი რონარზე, ისრე გაფრენ-გაფრენაზე ვარ. მეც დღეს თუ ხვალ შენი დღე მაშერგება, თავისი სირცხვილის მოშორება მამინდება მტერ-მოკეთესთანაო, თუ ყველას სამზადისს ეხლავე არ შაუდგე, ბოლოს გვიანღა იქნებაო. ემუშაობ, ღმერთმა ხომ იცის, ჩემს ხელ-მხართა და ჯანს მამის სახლსა და საქმეს ვალევ, რადა აბა, რა მრჩება, დღეს თუ ხვალ მეც ჩიტივით გამაფრენენ, როგორც შენ გაგაფრინეს და თან-კი მაგდენსაც არას გამაყოლებენ. მაგრამ ჩვენში-კი დარჩეს და ამ დროს მაინც ძლიერ მოველიო. რაც სახლის საქმეს თავი მოვარიდე, ამ წინდის ამოჩხკლართვა ძლივს მოვასწარ ქორწილამდე, დანარჩენებით, ღმერთმა დაუმადლოს, დედამ გამხადა ლონესა, თორემ მამიჩემის ამბავი ხომ ყველამ იცით. თუ ერთი გროში ჩაიგდო ხელში, თავის ყელ-ჰუცელს ვერ აჭარბებს, იმასაც არ იტყვის, ცოლ-შვილსაც თითო-ოროლა შაური მადლის გულისად მაინც მივაწვადოვო. წასულს კვირას ტანისამოსის გარეცხის დროს მამის ახალოხის ჯიბეები გავჩხრიკე და ეს ხურდა ფული იქ ამამიჩნდა, თორემ ან ამას ვინ გახდიდა საჩემოდაო. მა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბის ჩადენით თავისი უქცეობა არ დაამტკიცა. ერთს დღეს იანცევიჩი სახლში მარტოდ-მარტო დარჩა, ყურისმგდებელი არავინ ჰყავდა, მხოლოდ საუბედუროდ იმავე სახლში ერთი ოთხის წლის ქალი იყო, რომელიც იანცევიჩმა აილო და კარის სახელურზე ჩამოჰკიდა და ჩამოახრჩო, როცა ეს საშინელი ამბავი გაიგეს, მისცვივდნენ და აი, რა საზარელი სურათი ნახეს: საბრალო ქალს სიცოცხლის ნიშანი აღარ ეტყობოდა, ხოლო იანცევიჩი იქვე კუთხეში იდგა, კმაყოფილებით ხელებს იფშვნეტდა, სახე სიხარულით უბრწყინავდა და განუწყვეტლივ იმეორებდა: „როგორ მოგწონთ? ხომ კარგად მომიხერხებია? ხომ კარგად მომიხერხებია?..“

— პეტერბურგის სიფხიზლის საზოგადოების კრებაზე ამას წინად ერთი სასაცილო ამბავი მოხდარა. კრებაზე გამოცხადებულა ერთი ახლად არჩეული წევრი, რომელიც ისეთს მდგომარეობაში ყოფილა, რაიც ამ საზოგადოების დანიშნულებას არ შეეფერება. ერთის სიტყვით, სიფხიზლის საზოგადოების წევრი იმ დროს კარგად შეზარხოშებული ყოფილა და კრებაზე დამსწრეთათვის შემდეგის სიტყვით მიუმართავს:

— „მე თქვენ წევრად ამომირჩიეთ, ამას გამო, სიმართლე უნდა მოგახსენოთ, ძალიან მოხარული ვარ, ისე ძალიან, რომ მეტი არ შეიძლება... დიახ, მოხარული ვარ... მოხარული... ეხლა ყველამ ღვინისა და მაგარ სასმელთა ხმარების წინაალმდეგ გაილაშქრა, მაგრამ მე მაინც უნდა მოგახსენოთ, რომ ღვინოზე უკეთესი არა არის-რა ამ ქვეყნად. ის გვიმხიარულებს გულს, გვიადვილებს საჭმლის მონელებას, გვიმშვიდებს გრძნობას, რაღა ბევრი გავაგრძელოთ, ცხოვრებას გვიადვილებს, სიცოცხლეს გვიტკბობს... ტყუილად კი არ ამბობდნენ ძველნი რომაელნი: „ჰეშმარიტება ღვინოშიაო“. აქედამ ცხადად სჩანს, რომ სადაც ღვინო არ არის, იქ არც ჰეშმარიტებაა... „ურა!“

ამ ახირებული წევრის ასეთმა მოულოდნელმა საქციელმა დიდი ალიაქოთი მოახდინა კრებაზე. პირველად უნდოდათ გამოერიცხნათ წევრობიდგან ეს ღვინის ტრფიალი ვაჟბატონი, მაგრამ შემდეგ გადაფიქრეს: ეს უალაგო სიტყვა უსათუოდ სიხარულის გამო წარმოსთქვა და არა ღვინის მიზეზით პატივცემულმა წევრმაო და ამიტომ დაადგინეს, რომ სიტყვას კრების განაჩენში ნუ ჩავწერთ, მხოლოდ სხვა საქმეთა განხილვას შევუდგეთო.

— ვინნიცაში, როგორც „Кiевск. Слово“ ამბობს, ამ დღეებში სიმშილით სიკვდილის შემთხვევა ყოფილა. ამ ქალაქში ცხოვრობდა თურმე ერთი ქვრივი დედაკაცი, რომელსაც ხუთი პატარა ბავშვი ჰყავდა. მთელი ეს სახლობა ძალიან გაჭირვებულს მდგომარეობაში იყო. საბრალო ქვრივი ვერაფერს სამუშაოს შოულობდა, ხოლო რის გაყიდვაც-კი შესაძლებელი იყო, ყველაფერი გაყიდული ჰქონდა. ილაჯ-გაწყვეტილი ოჯახის დედა გარედ გამოვიდა, ეგებ სადმე სამუშაოს წავაწყდეო, მაგრამ ამაოდ. როცა შინ დაბრუნდა, ერთი შვიდის წლის ბავშვი უკვე მკვდარი დახვდა და დანარჩენი შვილებიც სიმშილისაგან არაქათ-გამოლეული ძლივს-ღა იბრუნებდნენ სულს.

## წვრილი ამბები

გერმანიის იმპერატორმა ვილჰელმმა ბრძანება გასცა, რომ უსაქმოდ დარჩენილი მუშები აღწერეთო.

— სტრასბურგში ამას წინად ელექტრონის საშუალებით უსინჯავთ ღვინის ხელოვნურად დაძველება, რასაც სასურველი შედეგი მოჰყოლია.

— ყველაზე უგრძესი სიტყვა, რომელსაც ყველა ენაზე ერთნაირად ხმარობენ, ქიმიური ტერმინია, რაღაც საღებავ ნივთიერების აღმნიშვნელი. აი ეს სიტყვა: ხლოროგიდროდტეტრამეტილოდიამიდოტრიფენილკარბინოლი. ამ სიტყვას 46 ასო აქვს.

— „ერთი ჭირი მარგებელიაო“, რომ ამბობენ, სწორედ ყვავილის შესახებ ითქმის. ინგლისელი ექიმი ლაურენსი ორს ჭლექით ავადმყოფს სწამლობდა და ერთს მშვენიერს დღეს ორივეს ყვავილი შეეყარა. ექიმმა იფიქრა, ეს არის „ვაის“ „ვუი“ დაემატა და „ჭირი ჭირსა მიესართაო“-ო, მაგრამ სულ წინააღმდეგი აღმოჩნდა. როცა ავადმყოფნი ყვავილისაგან განთავისუფლდნენ, ფილტვებშიაც რაღაც უმჯობესობა და შეღავათი იგრძნეს, ხოლო რამდენსამე ხანს შემდეგ ჭლექისაგანაც სრულიად მორჩნენ.

— ტილზიტში ამას წინად ერთი ოჯახობა სულ უბრალო შემთხვევის გამო დამფრთხალა და აქეთ-იქით გაფანტულა. აი საქმე როგორ იყო თურმე: ოთახში ერთი მიგდებულ-მივიწყებული ძველი ფორტეპიანო იდგა. ღამ-ღამობით ოჯახის წევრთ იმ ოთახიდამ ზოგჯერ ფორტეპიანოს ხმა ესმოდათ, მაგრამ ჰფიქრობდნენ, რომ ყური გვატყუებსო და ყურადღებას არ აქცევდნენ. მაგრამ ერთს დღეს გაიგონეს, რომ ფორტეპიანო ნამდვილად უკრავდა, რადგანაც მისი ხმა ნაწყვეტ-ნაწყვეტად-კი არა, ძალიან გარკვევით და ხანგრძლივად ისმოდა და დამკვრელი-კი არა სჩანდა. რასაკვირველია, ეს მოვლენა რაღაც უხილავს ძალას მიაწერეს. ყველას შიშის ზარი დაეცა, მიატოვეს სახლი და გაიქც-გამოიქცნენ. ამ საშინელს მდგომარეობაში მხოლოდ ერთმა ახალგაზრდამ გამოიჩინა გმირობა, აღიჭურვა დამბაჩით და როგორც იყო ოთახში შესვლა გაჰბედა. ფორტეპიანოს ხმაც მისწყდა. გმირმა დიდის გაბედვით და თავ-განწირვით ახადა თავი ფორტეპიანოს და წარმოიდგინეთ იმისი გაკვირვება, როცა ამდენის ალიაქოთისა და ვაი-ვაგლახის მიზეზი თაგვი აღმოჩნდა, რომელსაც ასეთი ახირებული ხუმრობა სიცოცხლედ დაუჯდა.

— ბერნის (შვეიცარიაში) საექიმო ფაკულტეტის ექიმ-ქალს, მარია ფონტოლოს ვრცელი თხზულება დაუწერია გერმანულ ენაზედ, რომელსაც სახელად ჰქვიან „დედათა ჰიგიენა“ („Handbuch der Hygiene der Frau“).

— ავსტრიის დედოფალი ელისაბედი აპირებს ამ თვეში იახლოს იერუსალიმი და სხვა წმიდა ადგილები. ამის გამო ოსმალეთის სულთანს უკვე გაგზავნილი აქვს ცნობა.

— გერმანიის ჯარების უფროსთა მეტის-მეტი სიმკაცრე ხშირად თავის კვალს ახდენს თურმე ჯარის-კაცთა შორის. ამას წინად ერთს უნტერ-ოფიცერს მოუკლავს თავი, რადგანაც ამ საბრალოს სამი სახელმწიფო მუნდირი დაუკარგავს და რისთვისაც იცოდა სასტიკად დასჯიდნენ.

## წერილები რედაქციის მიმართ

### I

გურიის სახალხო წიგნთ-საცავს „წერა-კითხვის საზოგადოებამ“ მისწირა ყველა თავის მიერ გამოცემული წიგნისა თითო ცალი დაკაზმული. აგრეთვე აღუთქვა მომავალი გამოცემებიდგანაც დაუთმოს თითო ცალი. ხოლო იმ წიგნებისა, რომელიც ამ საზოგადოებას გასასყიდად აქვს მიბარებული, მოსავების ადვილად მიჰყიდის წიგნთ-საცავს. ამავე წიგნთ-საცავს შესწირეს: პატივცემულმა ალექსანდრე რონიაშვილმა 15 მანეთისა და 75 კაპეიკის ქართული წიგნები და ჩვენის მწერლების სურათები. მღ. ქაშვეთის ეკკლესიისამ მ. ანტონ თოთიბაძემ ჟურნალი „ჯეჯილი“ მთელის წლით და ცამეტი რუსულ-ქართული წიგნი. თავისი ნაწერები და გამოცემანი შესწირეს ბ-ნ იაკობ გოგებაშვილმა, ივანე მაჩაბელმა, ექვთიმე თაყაიშვილმა, ილია წინამძღვრიშვილმა და თედორე ჟორდანიამ. ექ. თაყაიშვილმავე ფულად 2 მან., ბ-ნ მიხეილ ხუნდაძემ 5 მან., სამსონ ხუნდაძემ 6 მან., თევდორე ხუნდაძემ 4 მან., მიხეილ სანიკიძემ 5 მან., გიორგი ბაქრაძემ 1 მან., ქ-ნ ელისაბედ ვ. გასილევისამ 1 მან., მამა მიხეილ დონჯაკემა 3 მან., ალექსანდრე თოიძემ თხუთმეტი ქართულ-რუსული წიგნი, იერემია გულისაშვილმა დავითაშვილის ლექსების ერთი წიგნი, ზაქარია ჭიჭინაძემ ცხელის ლექსები ერთი წიგნი და გაზ. „Нов. Обоз.“ რედაქციამ მთელის წლით გაზეთის ნომრები.

ამხანაგობის სახელით დიდს მადლობას ვწირავ შემომწირველთ.

წიგნთ-საცავის გამგე ი. რამიშვილი

3 თებერ.

### II

როდესაც წავიკითხე წერილი ბ-ნ დიასამიძისა, დაბეჭდილი „ივერიის“ ამ წლის მე-26 ნომერში, სწორე მოგახსენოთ, ძალიან გამიკვირდა. ეს წერილი იყო უცნაური, წინააღმდეგ ფაქტისა, რომლის მოწამე, სხვათა შორის, მეც ვიყავ. ბატონმა ფურცელაძემ, რომელმაც იმოდენა დრო და ფული შესწირა ჟურნალ „მიმოხილვას“, მიიღო ამ ჟურნალისთვის ფული და არ ჩააბარა დანიშნულებისამებრ!?.

მე საკმარისად ახლოს ვიდექ „მიმოხილვის“ რედაქციის დაარსების საქმესთან. ხელის-მოწერა იყო გამართული ჩვენი წიგნის მაღაზიაში, სადაც დროებით დახლიდარი ჩვენი, ბ-ნი ანთ. ჯუღელი, იყო „მიმოხილვის“ დახლიდარიც. ხშირად, როდესაც არ იყო ჯ—ი მაღაზიაში, მე ვიდექ იმის ადგილას. სიტყვით, ძვირად თუ ხდებოდა რამე, რომ მე მოწამე არა ვყოფილიყავი. მოწამე და თითქმის მონაწილეც ვიყავი იმისი, რაც ჩვენს მაღაზიაში ხდებოდა შესახებ „მიმოხილვისა“. როდესაც წავიკითხე დიასამიძის წერილი, მე გამახსენდა ერთი ამბავი, რომელმაც მიიქცია ორ-რიგად სხვათა შორის ჩემი ყურადღებაც. ეს იყო შემდეგი: ერთს დღეს მაღაზიაში შემოვიდა ერთი ქართულად ჩაცმული, თითქმის სულ ბავშვი ქალი, რომელსაც ცხადლივ ეტყობოდა, რომ მოსული იყო სხვაგნიდამ. ეს ქალი კითხულობდა „მიმოხილვის“ რედაქციას, სადაც, იმის სიტყვით, უნდა შეეტანა პაის ფული. ჩვენ ლაპარაკიდამ გავიგეთ, რომ ეს ქალი იყო პატივცემული მ—მ კ—ძისა, რომელმაც იმ ხანებში გორში გაჰმართა წიგნის მაღაზია და გვქონდა ჩვენ იმასთან წიგნების აღებ-მიცემობა და მიწერ-მოწერა. მეორე ყურადღება მიიპყრო ამავე ქალის მოტანილმა პაის ფულმა. იმან ჩააბარა 50 მან. «მიმოხილვის» კასირს ბ-ნ ჯ—ს და უთხრა, რომ ეს ფული იყო პაის ფული დიასამიძისა, რომელზედაც ისმოდა გორიდამ ბევრი სხვადა-სხვა ამბავი. ამოდენა პაის ფულის შემოტანა იყო პირველი, თუმცა შემდეგში შემოიტანეს ამოდენივე სხვა პატივცემულ კაცთაც.

განვლო მას აქეთ ათმა-თორმეტმა წელმა, ფურცელაძესა და დიასამიძეს შუა უსიამოვნობამ სისხლის დაღვრამდის მიაღწია, და უცებ ვკითხულობთ ბ-ნ დიასამიძის ზემოხსენებულს წიგნს. მე ჩამაფიქრა ამ წიგნმა. მახსოვდა, რომ ამ წიგნში ხსენებული ფული 50 მ. იყო შეტანილი იქვე ჩემ თვალის წინ და დავთარში ჩაწერილი, მაგრამ განვლო რამდენმამე ხანმა და ახლა, როდესაც არამც თუ იმ წლის დავთრებისა, როცა ეს ფული შემოტანილ იქმნა, არამედ თვით სახსენებელი „მიმოხილვისა“, რომელიც დაბადებასაც არ ეღირსა, აღარავის არ ახსოვდა, არ მომეწონა ეს ამბავი. სად იყო ბ-ნი დიასამიძე მანამდის, ვფიქრობდი, ამ თავის მოთხოვნილებით, სანამ იმის სიტყვების ჯეროვანის დოკუმენტებით შემოწმება შეიძლებოდა. მაგრამ უცებ მომაგონდა, რომ მე შემრჩა რამდენსამე უბრალო ქაღალდზედ დანიშნული სია, ხელ-მოწერილი ბ-ნ ჯ—საგან ფურცელაძის გადასაცემად, რომელიც მე დავიწყებულიც მქონდა, რაკი თვით ფურცელაძესაც აღარ მოუთხოვნია. მომაგონდა, რომ ამ ფულის მიღება ჯ—საგან იყო ჩაწერილი ამ სიაშიაც. დავუწყე ძებნა, გადავაქოთე მთელი ჩემი წიგნები, მთელი ჩემი ქაღალდები და ძლივს ჩამივარდა ეს სია ხელში. გარდა ამ ხსენებულის 50 მან., რომელიც შემოიტანა დიასამიძის პაიში მ. კ—სამ, სწერია კიდევ ჩაბარებული ანტ. ფურცელაძისა.

---

მირთმევია ალალი გულით. ღმერთმა ააშენოს!“ ამ სიტყვების თქმასთან ერთად მეფარი ხონჩას გადააწვდის ეჯიბსა და ან მეჯვარეს, ესენიც და სხვებიც ერთხმად დაიძახებენ: „ააშენოს!“

მოხუცის მაგიერ: „კიდევ გაახლათ ჩემი თავი (სახელი და გვარი საჩუქარის მიმრთმევისა). მართალია, მოვხუცდი, ჩემი წილი კალო გავლეწე, ცალი ფეხი ჩადგმული მაქვს სამარეშია, ცალიც ჩაღირებული, მაგრამ, მადლობა ღმერთს, რა-კი ამ ჩემთვის სანატრელ დღესაც მოვესწარ და თქვენ თავ-გვირგვინიანთა გხედავთ, ათის წლით მაინც გავახალგაზრდავდი. ჩვენი, ბებრების ნუგეში და სიხარული თქვენი, ახლების ბედნიერება არის. მინდოდა ამ ბედნიერ დღეს ასეთი მცირედი შესაწევარით არ დავხვედრიყავით, მაგრამ რა ვქნათ, ღმერთმა დიდი დღე მოგცესთ და თქვენც დაგასწროსთ, ძნელი ყოფილა სიბერეო. ტყუილად-კი არ უთქვამ ჰკვიან კაცებსა, „სიბერე ძნელი ყოფილა, ცივი ქვა აეწონებაო, დამჯდარი ველარ ადგებაო, არგანსა დაელონებაო.“ დავუძლურდი მეცა, ცივი ქვა ამეწონა, ჩემის ჯანითა და მარჯვენით სახლს ველარასა ვმატებ, მეც სახლის ბარგად გავხდი; რაკი ველარას ვაკეთებ, აღარცა-რა მეკითხება სახლისა, არცა-რა ჩემს ხელთ არი, შვილებს სულ ყველას თავ-თავის ჰკვაზედ მიაქვს ცხვირები და მე-კი, დარჩომილ ბერ-კაცს, ყურს აღარ მიგდებენო. ეს (უჩვენებს ფულს) აღარც-კი მახსოვს როდინდელი რა მგდებიყო ჯიბეში ძალან (წინათ) ამამ ჩნდა (ჯიბეში) და კარგაც გამადგა. ღმერთმა გაგაბედნიეროთო. მაურთმევია ხუთი ოქრო, ააშენოს!“

ახალგაზრდას მაგიერ: „ხო ყველამ იცით, რომ ჯერ კიდევ ბალღი ვარ, აქნამდე ხბოებსაც (ხბორებს) ძლივს უვლიდი, აქნამდი ჩემი საჭირ-ბოროტო მარტო მეველე იყო, ის წყეული ხან უნაბდოს გამამიშვებდა შინა, ხან უსარტყლოსა, თუნდა ჩემს ხბოებს ორი-სამი ბეწვის მეტი არც-კი მოეძოვა ყანა-ხათიბშიაო. ახლა-კი, ღვთის მადლით, იმოდენა წამოვიზარდე, რომ მეველე ბევრადაც ველარას მაშინებს, ქვეყანაში გავერიე, მტერ-მოყვარის ჭირსა და ლხინში ყოფნის ვალი მეცა მხვდა და თავის წილი გაჭირება არც აქ მაკლიაო. ცარიელა ჯიბით კაცს არ გაესვლება გარეთა, ჩემს ბედობაზედ-კი ერთი შაურიც არ მაიძებნებოდა. ხო შენც იცი, ნეფეო, სახლის უმცროსი ველის არგანია, ბევრს ტანჯვა-წვალებაშია, მაგრამ თავისი ნაწოვ-ნადაგისა ხელში-კი არა რჩება იმას. აღარცა-რა პირი მამამ შაირცხვინა, ან-კი რას მამცემდა, ბეჩავი, რა ჰქონდა, ხალხს ისი ჰკონავის, ბევრს აკეთებს, ბევრი სარჩო აქვ, იმისი სახლი სდუღს და გადმოდისო, მაგრამ ტყუილად: ხათიბს წავა მამა, ცირცლის (ხვა) ქვეშ წამოწვება, იქა მღერის; სამკალად წავა, პანტის ქვეშ წამოწვება, იქა მღერის. ხალხს-კი ჰგონია, ის კაცი მუშაობს, სახლს სარჩოთი ავსებსო, მაგრამ აბა სად და რაში მატყვია მამის სარჩოს ქონა. ღმერთმა უშველოს დედასა, ამ ხუთის ოქროთი იმან წამიყვანა იოლასა ამ ბედნიერ დღეშიაო, ღმერთსა ეხთხოვ თქვენს ბედნიერებასაო“.

მეჯვრენს მაგიერ: „კიდევ გაახლათ ჩემი თავი თქვენმა ნათლიამ ხარაზ აბრაცუნამ (აბზარცუმა) და მოგახსენათ: ოლონდაცაო, სასიამოვნოა ჩემთვის ამ ოჯახის ვაჟისაც და ქალის ბედნიერებაცაო. როგორც მოგეხსენებათ, ჩვენ დიდის ხნიდამ ერთმანერთთან ნაპურმარილევები და ნათელმირონები ვართო. ამის გამო მოველე ვიყავ ახალ ყოილთ ათის ოქროთი მაინც შავეწიოდი, მაგრამ ღმერთმა დასწყევლოს ჯერ სრულ მედუქნეხი და იმათში უფრო ჩემი ხელობის კაცის—ხარაზის ბარაქაო. მართალია, ვშრომობ, ვიტანჯები, დღეღამეს ვასწორებ, ბევრს ვატყუებ მუშტარსაც, ჩემი მუშტართან ტყუილ ფიცისგან ცაში ღმერთს არა აქვს მოსვენება და მიწაში ჩემის მამის ძვლებსა. დილით საღამომდე სულ ვმუშაობ, ჯლანებსა და ტყავებს კბილით ვეჭიდები, ვაგძელებ, ვათხელებ, ვაგანიერებ, რომ ერთს წყვილს საჩუსტე ტყავს წყვილ-ნახევარი ჩუსტი მაინც გამომივიდეს. განა არა, ფულს ვიგებ, ბოლომდე ეზოგავ, ვყაირათობ კიდეცა, მაგრამ საღირეველო-კი მაინც არაფერი მრჩება ხელში, რომ თქვენისთანა, პატიოსან ხალხთან პატიოსნური პატივის-ცემის ღონის-ძიება მქონდესო. ისევ ღმერთმა ააშენოს თქვენი ოჯახი: თუ მოგება რაიმე მაქვს, თქვენგანვე; მაშ, ნათელ-მირონიც იმისთვის მინდა, რომ ფული მომაგებინოსო. თქვენ რომ საქორწილოდ ჩუსტები დამაკერინეთ, წყვილში სამ-სამი აბაზი მოვიგე, იმ ფულიდგან ერთი მანეთის ყაირათი მიქნიაო და მამირთმევიაო. ააშენოს!.“

(შემდეგი იქნება)

გან სხვა-და-სხვა დროს 271 მ. და სხ. ეს სია დღეს ბ-ნ ანტ. ფურცელაძეს გადავეცი კუთვნილებისამებრ.

სიმართლის აღსადგენად გთხოვთ მისცეთ ამ წერილს ადგილი.

ზ. ჭიჭინაძე

---

III

გიგზავნით ჩემს საბლაღოჩინოში ხუცის მოწერით შეგროვილს ფულს განსვენებულის დიმიტრი ზაქარიას ძის ბაქრაძის ფონდის სასარგებლოდ თვრამეტ მანეთს და ფულის შემომწირველთა სიას. გთხოვთ ფული მიაქციოთ კუთვნილებისამებრ, ხოლო სია დაბეჭდოთ თქვენს გაზეთში შემომწირველთა საცნობლად. სია შემომწირველთა: ბლაღ. მღვდ. იოსებ ხარიტონოვმა—2 მან., მღვდ. პოლიევკტოს კარბელოვმა—1 მან., მთავარ დიაკონმა ილია ბიაკვმა 50 კაპ., პრიჩეტ. გაბრიელ ამირანიძემ—50 კაპ., ზარის მრეკავმა გიორგი ამირანიძემ 20 კაპ., ველისციხის აფთიაქარმა ლევან ბერიევმა—1 მან., მღვდელმა გიორგი ციბაღოვმა—1 მან., მღვდ. ნიკოლოზ მაჭავარიანმა 1 მან., მღვდ. გიორგი მჭედლოვმა—1 მან., მღვდ. ქრისტესია ასათიანმა—1 მან., მღვდ. იოსებ ახალშენოვმა—1 მან., მღვდ. მიხეილ რობიტოვმა—1 მან., მღვდ. ისიდორე კაჩენაშვილმა—1 მან., ნესტორ ისიდორე მღვდლის ძე კაჩეშვილმა 10 კაპ., მღვდელმა პეტრე ელიზბაროვმა 40 კაპ., მღვდ. სოლომონ ბერიტოვმა—60 კაპ. სალომე, ნატალია და ვერა ბერიტოვისებმა—60 კაპ., ახაშენის ეკკლესიის სტაროსტამ აზნაურმა მიხეილ გიყამყრელმა—1 მან., პრიჩეტნიკმა რაჟდენ ლოლაძემ—40 კაპ., პრიჩეტნიკმა ანდრია მოსიევმა—50 კაპ., პრიჩეტ. ზაქარია ფურცელაძემ—20 კაპ., პრიჩეტ. სვიმონ გოზალოვმა—40 კაპ., პრიჩეტ. ივანე რაზმაძემ—40 კაპ., პრიჩეტ. იოანნე ღვინიევმა—20 კაპ., პრიჩეტ. ივანე ჭრელაკვმა—20 კაპ., პრიჩეტნიკმა ლავრენტი ხელაკვმა—20 კაპ., თავად. გიორგი ჯანდიეროვმა—40 კაპ., და გრიგოლ ხარიტონოვმა—20 კაპ., სულ 18 მანეთი.

სიღნაღის მაზრის სოფელ ველისციხის ბლაღოჩინი მღვდელი იოსებ ხარიტონოვი.

---

## გამოსადეგი ცნობანი.

სულ უბრალო საშუალებით შეიძლება ბოთლისა და საზოგადოდ ყველა მინეულობის გადაჭრა. ბოთლს იმ ალაგას, სადაც გინდათ გადაჭრათ, უნდა შემოახვიოთ ნავთში, ან სპირტში დასველებული მსხვილად დართული ბამბის მაფი და უნდა წაუკიდოთ ცეცხლი, თან ბოთლი ნელ-ნელა უნდა ატრიალოთ, რომ ბოთლის გარეშემო მაფი სწორე ხაზზე იწოდეს. როცა მაფი დაიწვება, ბოთლიც სწორედ იმ ალაგას გასქდება, სადაც მაფი იყო შემოხვეული. თუ ბოთლი სქელია და არ გასქდა, შემოეწვება თუ არა მაფი, დანიშნულს ადგილას უნდა დაასხათ ცივი წყალი და ეს საშუალება უეჭველად გასჭრის. შემდეგ ბოთლის პირი უნდა გაიჩარხოს სალესს ქვაზედ. ამ გვარად ბოთლის ქვემო ნაწილი გამოდგება „ბანკად“ და ზემოთი-კი მაბრად.

---

# დეპეშა

5 თებერვალი

მოსკოვი. დღეს ერცჰერცოგი ფრანც-ფერდინანდი ვარშავის გზით ბუდაპეშტს გაემგზავრა.

ვენა. მთავრობა ხელს უწყობს, რომ ბოსნია დაასახლონ ქვემო ავსტრიის გერმანელებით. ეს ქვეყანა-კი, როგორც ცნობილია, მხოლოდ დროებით უჭირავს ავსტრი-ვენგრიას. პირველი დასი გადასახლების მსურველთა ამ დღეებში მიემგზავრება.

პეტერბურგის ბირჟა, 5 თებერვალი

| | მყიდველნი. მან. კ. | გამყიდველნი. მან. კ. | გაყიდულნი. მან. კ. |
|---|---|---|---|
| ხუთ-მანეთიანი ოქრო . | — „ | — „ | 6, 83½ |
| ტამოჟნის კუპონები . . | — „ | — „ | 136¾ |
| მანეთიანი ვერცხლის ფული. . . . . | 1 06 | 1 08 | — „ |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . . . | 237¼ | — „ | — „ |
| —მეორისა . . . . . | 227½ | — „ | — „ |
| სახელმწიფო თავად-აზნაურობის ბანკის ფურცელი . . . . . | — „ | — „ | 216 |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა . | — „ | — „ | — „ |
| ქუთაისის ბანკისა . . | — „ | — „ | — „ |
| ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა. . . . | — „ | — „ | — „ |

## მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზე

ბათუმიდამ გადის: ხუთშაბათობით ნაშუადღევის 4 საათზედ მოკლე გზით და ნოვოროსიისკსა და კერჩში შეივლის.

შაბათობით საღამოს 8 საათზე შორის გზით (ყველა ნავთ-სადგურებში შეივლის).

კვირაობით საღამოთი, საზღვარ-გარეთ, სტამბოლამდე მიდის.

ბათუმში მოდის ოდესიდამ: სამშაბათობით შუა-ღამისას შორის გზით.

პარასკევობით დილით ოდესიდამ მოკლეს გზით (კერჩსა და ნოვოროსიისკში შესვლით).

შაბათობით დილით სტამბოლიდამ.

ფოთიდამ ბათუმში მოდის. სამშაბათობით—იმის შემდეგ, როცა სოხუმიდამ მოდის გემი შორის გზით. ხუთშაბათობით—დილის 9 საათზე და მიასწრობს მოკლეს გზით მოსიარულე კავკასიისა და ყირიმის გემსა.

შაბათობით დილის 9 საათზე და მიასწრობს შორის გზით მოსიარულე კავკასია-ყირიმისა და რუმელია-ანატოლისკენ წამსვლელს გემებს.

ბათუმიდამ ფოთს მიდის პარასკევობითა და კვირაობით. რაკი გემი მოვა ფოთიდამ, ბათუმის სააგენტო გადასწყვეტს ხოლმე, როდის წავა უკან.

ამას გარდა ყოველ-კვირა ფოთში მოდიან ოდესიდამ და ყირიმ-კავკასიის ნავთ-სადგურიდან გადაწყვეტილს კადაზე გემები.

---

# განცხადებანი

გამოვიდა და ისყიდება

„წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ და ქართველთა ამხანაგობის წიგნის მაღაზიაში:

# ბორკილი

დრამა ოთხს მოქმედებად

თხზულება

ა. ი. სუმბათაშვილისა

თარგმანი ა. მ. ანანზაროვისა

დრამას წინ უძღვის მთარგმნელის წინასიტყვაობა, რომელშიაც მოთავსებულია ბიბლიოგრაფია თ. სუმბათაშვილის პიესების შესახებ, და მოთხრობილია ავტორის მცირე ბიოგრაფია.

ფასი 40 კაპ.

„წერა-კითხვის საზოგადოების“ წიგნის მაღაზიამ

მიიღო გასასყიდად ახალი წიგნები.

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| ხალხური ზღაპრები შეკრებილი აღნიაშვილის მიერ . | „ | 30 |
| ლექსები ნ. ბარათაშვილისა ახალი გამოცემა . . . | „ | 30 |
| რამდენიმე ლექსი ცახელისა. | „ | 15 |
| საქართველოს დიდი კალენდარი გ. გუნიასი 1891 წ. | „ | 40 |
| სახალხო ჯიბის კალენდარი მისივე . . . . . | „ | 10 |
| თხზულებანი გ. ერისთავისა მშვენიერს ყდაში ავტორის სურათით. . . . . | 2 | „ |
| ქართულ-რუსული ლექსიკონი დ. ჩუბინაშვილისა სამივე ნაწილი . . . . . | 8 | „ |
| ქართული ლექსიკონი შედგენილი საბა-სულხან ორბელიანისაგან . . . . | 3 | „ |
| გზა ცხოვრებისა შედგენილი წმიდისა ალ. ლიგუორისაგან . . . . . . | 1 | „ |
| წინამძღვარი ზეცისა. . . | „ | 50 |
| წმიდათა ცხოვრება . . . | 1 | 20 |
| იგავნი ფილოსოფოს ეზოპისა . . . . . . | „ | 40 |
| სიბრძნე კაცობრივი . . . | 1 | „ |
| ბრძენი კაცი . . . . . . | „ | 30 |
| მოკლე სახელმძღვანელო ფრანგული ენისა. უდით . . | „ | 50 |
| მოკლე ფრანგული გრამატიკა. | „ | 40 |
| მოკლე მსოფლიო ისტორია ძველთა და ახალთა ნათესავთა დასაბამიდგან სოფლისა ვიდრე დღევანდლამდე. უდით. . . . . | 1 | 20 |
| მოკლე გეოგრაფია ფიზიკებრივი, მოქალაქებრივი და ისტორიებრივი დამატებით ძველი გეოგრაფიისა . . | „ | 50 |
| მოკლე ქართული გრამმატიკა დამატებით გრამმატიკური და ლოღიკური ანალიზისა . . . . . . | „ | 40 |
| ცოკლე რეტორიკა, გინა მჭევრმეტყველება სასარგებლოდ ახალგაზდა ყმაწვილ-კაცისა. უდით. . . . . | „ | 50 |
| მოკლე ფილოსოფია, გინა სიბრძნის მოყვარეობა, რომელიც შეიცავს ფსიხოლოღიას, ლოღიკას, ბუნებით ღვთის მეტყველებას და ზნეობას. უდით . . | „ | 50 |
| წამება ლექსად თქმული ცხოვრება წმიდისა ესტატისა. უდით . . . . . . | „ | 60 |
| ყვავილების კონა, ანუ რჩეული ლექსები სასარგებლოდ ახალგაზდა ყმაწვილ კაცთა. | „ | 50 |
| საქართველოს სამოთხე საბინინის ოქროს შავდი სურათით . . . . . | 10 | „ |
| Книга Калилаһ и Диманаһ или сборникъ Басенъ извѣстныхъ подъ именемъ басенъ Бидпая, переводъ съ арабскаго М. О. Аттая и М. В. Рябинина, цѣна. . . | 3 | „ |
| Матеріалы для русской исторіи, С. Ал. Бѣлокурова . . . . . . | 3 | „ |
| Сношенія Россіи съ Кавказомъ, С. А. Бѣлокурова . . . . . . | 3 | „ |
| Поѣздка старца Арсенія Суханова въ Грузію 1637—1640 гг. . . | „ | 25 |


კერძო ექიმი

## პრეობრაჟენსკი

არჩენს ელექტრონით: ფარადისებურ და გალვანისებურ ხელისა და ფეხის სიდამბლეს, ნეკრესის სნეულებას, ნეკრესის ქარსა და კონტრაქტურას (გაზაკის ნასკვს); არჩენს აგრეთვე სიდამბლისაგან ყრუდ, ბრმად და მუნჯად ჩავარდნილთ.

ამას გარდა სწამლობს დედათა სნეულებას და სიფილისს, ავადმყოფებს მიიღებს ყოველ დღე: დილით ცხრა საათიდგან 12 საათამდე და საღამოთი 7—8-მდე.

ადრესი: მიხეილისა და ელისაბედის ქუჩების შესაყრელში, მიხეილის ქუჩით № 9 და ელისაბედის ქუჩით № 2, სახლი პოპოვისა, ვორონცოვის ნომრების პირდაპირ.

(10—1)

„წერა-კითხვის საზოგადოების“ წიგნის მაღაზიაში ისყიდება:

## დედა ენა და ბუნების კარი

გამოცემული „წერა-კითხვის საზოგადოების“ მიერ.

დედა-ენა, ანუ ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი, გამოცემა მეშვიდე. ფასი ექვსი შაური.

ვინც ერთბაშად ნაღდს ფულზე იყიდის ოც-და-ათს ან მეტს ცალსა, წიგნი დაეთმობა ხუთ შაურად.

ყდისათვის ყოველს წიგნზედ დაემატება ორი შაური. ხოლო ვინც ოც-და-ათს ან მეტს, ყდიანს „დედა ენას“ წაიღებს, თითო წიგნის ყდაში გამოერთმევა მხოლოდ რვა კაპეიკი.

„ბუნების კარი“, ანუ საკითხავი წიგნი, უმცროსს კლასებში სახმარებელი, მეექვსე გამოცემა. ფასი თხუთმეტი შაური.

ვინც ნაღდს ფულზედ იყიდის ათს ცალს, წიგნი დაეთმობა თოთხმეტ შაურად, ვინც ოცსა—ცამეტ შაურად და ვინც ოც-და-ათს—სამ აბაზად. ყდისა უნდა დაემატოს თითო წიგნზედ სამი შაური.

ვინც ტფილისს გარეშე წიგნს დაიბარებს, გაზაგზავნი ხარჯი თითონ მყიდველმა უნდა იკისროს.

მყიდველებმა ამ ადრესით უნდა დაიბარონ:

Тифлисъ. Въ книжный магазинъ Общества грамотности. Дворцовая ул., домъ Зем. Банка, № 102.

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

## ივერია

1891 წ. 1-ს იანვრიდამ გამოვა ყოველ-დღე გარდა იმ დღეებისა, რომელნიც ზედ მოსდევენ კვირა-უქმეებს.

| | | | |
|---|---|---|---|
| 12 თვით. . . . | 10 მ.—კ. | 6 თვით. . . . | 6 მ.—კ. |
| 11 „ . . . . | 9 „ 50 „ | 5 „ . . . . | 5 „ 25 „ |
| 10 „ . . . . | 8 „ 75 „ | 4 „ . . . . | 4 „ 70 „ |
| 9 „ . . . . | 8 „ — „ | 3 „ . . . . | 3 „ 50 „ |
| 8 „ . . . . | 7 „ 25 „ | 2 „ . . . . | 2 „ 50 „ |
| 7 „ . . . . | 6 „ 50 „ | 1 „ . . . . | 1 „ 75 „ |

საზღვარ-გარეთ დაბარებული ეღირება 17 მან. მთელის წლით. სოფლის მასწავლებელთ „ივერია“ მთელის წლით დაეთმობათ 8 მან. ტფილისის გარედ მცხოვრებთ უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით:

Тифлисъ, Въ редакцію газеты „ИВЕРІЯ“.

თუ ტფილისში დაკვეთილი გაზეთი ტფილისის გარეშე ადრესზედ შესცვალა ვინმე, უნდა წარმოადგინოს რედაქციაში ერთი მანათი; სხვა ყოველის ადრესის შეცვლაზე—40 კაპ.

თუ თვის განმავლობაში დაიკვეთა ვინმემ გაზეთი არა მთელის წლით, იმას მხოლოდ შემდეგის თვის პირველ დღიდგან გაეგზავნება. განცხადებანი მიიღებიან გაზეთის რედაქციაში.

ფასი განცხადების დაბეჭდვისათვის:

ა) მეოთხე გვერდზედ თითოჯერ სტრიქონი 8 კაპ., პირველზე—16 კაპ. ბ) სრული უკანასკნელი გვერდი 30 მანათი, ხოლო პირველი გვერდი—60 მანათი. რიცხვი სტრიქონებისა გამოიანგარიშება იმის კვალობაზ, რამდენს ადგილსაც დაიჭერს 25 ასო გაზეთის ტექსტისა.

ხელ-ნაწერი და საგაზეთოდ დანიშნული წერილები (კორრესპონდენციები) რედაქციის სახელობაზედ უნდა გამოიგზავნოს. მიღებული ხელ-ნაწერები, არა საგაზეთო წერილები, თუ საჭიროება მოითხოვს, ან შემოკლებულ, ან შესწორებულ იქმნება. არ-დასაბეჭდს ხელ-ნაწერებს, თუ ერთის თვის განმავლობაში პატრონებმა არ მოიკითხეს, მერე რედაქციას ვეღარ მოსთხოვენ.

არა-გვარს მიწერ-მოწერას არ-დასაბეჭდთა ხელ-ნაწერებისა და წერილების შესახებ რედაქცია არა კისრულობს.

პირდაპირ მოლაპარაკებისათვის რედაქცია თავისუფალი იქნება ყოველ დღე, კვირა-უქმეებს გარდა, პირველ საათიდგან სამ საათამდე და საღამოობით 7-დგან 8 საათამდე.

რედაქცია იმყოფება: კუკიაში, ნიკოლოზის ქუჩაზე, თ. გრუზინსკისეულს სახლებში, № 21.